ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №-21

2010 წლის 25 ნოემბერი
ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემისას საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ქ" ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონის ,,ნორმატიული აქტების შესახებ" 25-ე მუხლის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (გარდა მოძრავი ნივთებისა) სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემისას საწყისი წლიური საფასურის ოდენობა ქალაქ ქობულეთის ტერიტორიაზე განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ა) არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწაზე:

ა.ა) პირველ ზონაში 1 კვ. მ-ზე – 3 ლარი;

ა.ბ) მეორე ზონაში 1 კვ. მ-ზე – 1.5 ლარი;

ბ) სხვა უძრავ ქონებაზე:

ბ.ა) პირველ ზონაში – ქონების საპრივატიზებო საფასურის 6 %;

ბ.ბ) მეორე ზონაში – ქონების საპრივატიზებო საფასურის 5 %;

2. ქალაქ ქობულეთის ტერიტორიაზე ზონირება განისაზღვროს დანართის შესაბამისად (დანართი №1).

3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (გარდა მოძრავი ნივთებისა) სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემისას საწყისი წლიური საფასურის ოდენობა ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბებში განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ა) არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების 1 კვ. მ. მიწაზე – 1 ლარი;

ბ) სხვა უძრავ ქონებაზე - ქონების საპრივატიზებო საფასურის 5 %;

4. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (გარდა მოძრავი ნივთებისა) სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემისას საწყისი წლიური საფასურის ოდენობა ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ა) არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების 1 კვ. მ. მიწაზე – 0.70 ლარი;

ბ) სხვა უძრავ ქონებაზე - ქონების საპრივატიზებო საფასურის 5 %;

5. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (გარდა მოძრავი ნივთებისა) სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემისას საწყისი წლიური საფასურის ოდენობა ქობულეთის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ა) არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების 1 კვ. მ. მიწაზე – 0.30 ლარი;

ბ) სხვა უძრავ ქონებაზე - ქონების საპრივატიზებო საფასურის 5 %;

6. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ნივთების სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემისას საწყისი წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს ნივთის საპრივატიზებო საფასურის 5% -ის ოდენობით.

7. ამ დადგენილების ძალაში შესვლისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემისას საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 24 სექტემბრის №-14 დადგენილება. .

8. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ნ. ბერაძე**

დანართი №-1

,,დამტკიცებულია”
ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2010 წლის 25 ნოემბრის №-21 დადგენილებით

ქ. ქობულეთის ზონების აღწერა
პირველი ზონა
ზ.ჟვანიას სახელობის ხიდიდან დ.აღმაშენებლის გამზირის ღერძულა ხაზის დასავლეთი მხარე მდინარე აჭყვას შესართავამდე, მეგობრობის ქუჩის ღერძულა ხაზის დასავლეთი მხარე მდინარე კინტრიშის შესართავამდე, მდ. კინტრიშიდან მ.აბაშიძის ქუჩის დასავლეთი მხარე.
მეორე ზონა
ქ.ქობულეთის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული სხვა დანარჩენი ტერიტორია;